



საქართველო, თბილისი 0159

აკ.წერეთლის გამზ. 144

ტელ/ფაქსი: (+995 32) 140 110

144 Ak.Tsereteli ave.

Tbilisi 0159, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 140 110

www.atipfund.gov.ge

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking

030883423570813

KA030883423570813

№ 07-167/ო

24 / სექტემბერი / 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ III თავის მოთხოვნათა შესრულებისა და სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 18 ივლისის №437 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ფონდის დირექტორის აპარატის მთავარი სპეციალისტი ქეთევან სვანიძე.
2. დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს:
 - ა) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბ) საჯარო ინფორმაციის დამუშავება და სისტემატიზაცია;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სტატისტიკის წარმოება;

დ) დაინტერესებულ პირთათვის ფონდში არსებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაციის მიწოდებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის საჯარო ინფორმაციის მომზადების, დამუშავებისა და გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ფონდის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ფონდის დირექტორის აპარატის პრესმდივანი ქეთევან ბეროშვილი.
5. ფონდში დასაქმებული ყველა პირი, განურჩევლად მისი რანგირებისა და დაკავებული თანამდებობისა, ვალდებულია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ (იმავე დღეს) გადასცეს მას შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო თუ ინფორმაცია მნიშვნელოვანი მოცულობისაა ან საჭიროებს ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული დოკუმენტების მოძიებას ან/და დამუშავებას – არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა.
6. ამ ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიმართ, ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისას გამოყენებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ღონისძიებები.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2013 წლის 15 იანვრის №07-11/ო ბრძანება.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (თბილისი, წერეთლის გამზირი №144).

დირექტორი



მარინა მესხი